

შესავალი ენისა და საგნის ინტეგრირებულ სწავლებაში

სილაბუსი

სასწავლო კურსის დასახელება	შესავალი ენისა და საგნის ინტეგრირებულ სწავლებაში
სასწავლო კურსის კოდი	
სასწავლო კურსის სტატუსი	თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, მულტილინგვური განათლების სამაგისტრო პროგრამა, სავალდებულო კურსი.
სასწავლო კურსის ხანგრძლივობა	1 სემესტრი
ECTS	<p>5 კრედიტი, 125 საათი, 45 საკონტაქტო და 80 დამოუკიდებელი სამუშაო საათი.</p> <p>45 საკონტაქტო საათი:</p> <p>(ა) ლექცია- 15 საათი (ბ) სემინარი- 15 საათი; (გ) შუალედური გამოცდა/ჯგუფური პროექტების პრეზენტაცია -5 საათი; (დ) საბოლოო გამოცდის/ინდივიდუალური პროექტების პრეზენტაცია-10 საათი</p> <p>80 დამოუკიდებელი საათი:</p> <p>(ა) ლექცია/სემინარებისთვის აკადემიური ჩანაწერების მომზადება-30 საათი; (ბ) (გ) შუალედური გამოცდისთვის/ჯგუფური პროექტისთვის მომზადება- 20 საათი; (დ) საბოლოო გამოცდისთვის მომზადება- 30 საათი</p>
ავტორი (ავტორები)	კახა გაბუნია
ლექტორი (ლექტორები)	კახა გაბუნია, ნინო შარაშენიძე
სასწავლო კურსის მიზანი	ბილინგვურ სკოლებში ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების ძირითადი თეორიული და პრაქტიკული ასპექტების დაუფლება, ბილინგვურ კლასში როგორც საგნობრივი, ასევე ენობრივი კომპონენტის (მეორე ენის) სწავლების სტრატეგიების, ხერხებისა და მეთოდების შესწავლა და დაუფლება.
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	
სასწავლო კურსის ფორმატი	ლექცია, პრაქტიკული
სასწავლო კურსის შინაარსი	იხ. დანართი 1

<p>შეფასება</p>	<p>კურსის მთავარი მოთხოვნები</p> <p>ლექტორისა და სტუდენტების პრეზენტაციები/განხილვები/ჯგუფური მუშაობა/აკადემიური ლიტერატურის კითხვა/სემინარები/წერიითი სამუშაოების შესრულება/ინდივიდუალური და ჯგუფური მცირე პროექტის განხორციელება და პრეზენტაცია.</p> <p>ლექციაზე დასწრება და მონაწილეობა - 15ქ.</p> <p>აღნიშნული კურსის წარმატებით წარმართვისათვის მნიშვნელოვანია რომ სტუდენტები არამარტო რეგულარულად დაესწრონ ლექციებს, არამედ მომზადებულნი მოვიდნენ ლექციებზე და აქტიური მონაწილეობა მიიღონ განხილვებში.</p> <p><i>დასწრების და მონაწილეობის შეფასება</i></p> <p>სტუდენტი ესწრება ყველა ლექციას (2 ლექციის საპატიო მიზეზით გაცდენა ლექტორის წინასწარი გაფრთხილებით შესაძლებელია), სტუდენტი აქტიურად არის ჩართული ლექციის დროს განხორციელებულ აქტივობებში, მისი კონტრიბუცია ლექციაზე ცოდნის შექმნის პროცესზე არის მაღალი– 15 ქულა</p> <p>სტუდენტი ესწრება ყველა ლექციას (2 ლექციის საპატიო მიზეზით გაცდენა ლექტორის წინასწარი გაფრთხილებით შესაძლებელია), სტუდენტი მეტ–ნაკლებად ჩართულია ლექციაზე განხორციელებულ ყველა აქტივობაში. მისი კონტრიბუცია ლექციაზე ცოდნის შექმნის პროცესში დამაკმაყოფილებელია–10–14 ქულა;</p> <p>სტუდენტი აცდენს ლექციების გარკვეულ რაოდენობას. ლექციაზე დასწრებისას მეტ–ნაკლებად ჩართულია სალექციო აქტივობებში. მისი კონტრიბუცია ლექციაზე ცოდნის შექმნის პროცესში შედარებით უმნიშვნელოა– 5–9 ქულა;</p> <p>სტუდენტი ხშირად არ ესწრება ლექციებს, ლექციებში მისი მონაწილეობა და დასწრება ფორმალურ ხასიათს ატარებს– 1–4 ქულა;</p> <p>სტუდენტი არ დასწრება ლექციებს– 0 ქულა</p> <p>აკადემიური ჩანაწერების პორტფოლიო - 15 ქულა</p> <p>აღნიშნული კურსის მიზანია არა მხოლოდ ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების თეორიის შესწავლა, არამედ აღნიშნული ცოდნის გააზრება, ანალიზი და პრაქტიკაში გამოყენება. შესაბამისად, აკადემიური ჩანაწერების პორტფოლიო ხელს შეუწყობს სტუდენტს თეორიული ცოდნის პერაქტიკულ გამოყენებაზე იფიქროს. აკადემიური ჩანაწერების ფორმა მიეწოდებათ სტუდენტებს კურსის დაწყებისას.</p> <p><i>აკადემიური ჩანაწერების პორტფოლიოს შეფასება</i></p> <p>სტუდენტმა წარმოადგინა სილაბუსით განსაზღვრული ყველა</p>
------------------------	---

აკადემიური ჩანაწერი. აკადემიური ჩანაწერის ხარისხი არის მაღალი, სტუდენტს აკადემიურ ჩანაწერებში განხილული აქვს წასაკითხი ლიტერატურა და კრიტიკულად ანალიზებს მას– 15 ქულა;

სტუდენტს წარმოდგენილია აქვს სილაბუსით განსაზღვრული ყველა აკადემიური ჩანაწერი. აკადემიური ჩანაწერი ცხადყოფს, რომ სტუდენტი გაეცნო წასაკითხ ლიტერატურას. აკადემიური ჩანაწერი საჭიროებს უფრო მეტ კრიტიკულ ანალიზს– 10–14 ქულა;

სტუდენტს არ აქვს წარმოდგენილი სილაბუსით განსაზღვრული ყველა აკადემიური ჩანაწერი. აკადემიური ჩანაწერი ცხადყოფს, რომ სტუდენტი გაეცნო წასაკითხ ლიტერატურას. აკადემიური ჩანაწერი საჭიროებს უფრო მეტ კრიტიკულ ანალიზს–5–9 ქულა;

აკადემიური ჩანაწერების უმრავლესობა არ არის ან დაგვიანებითაა წარმოდგენილი. წარმოდგენილი აკადემიური ჩანაწერი ცხადყოფს, რომ სტუდენტი გაეცნო წასაკითხ ლიტერატურას. აკადემიური ჩანაწერი საჭიროებს უფრო მეტ კრიტიკულ ანალიზს– 1–4 ქულა;

აკადემიური ჩანაწერების პორტფოლიო არ არის წარმოდგენილი– 0 ქულა

ჯგუფური პროექტი

სადისკუსიო თემის მომზადება და განხილვა - 20 ქულა

აღნიშნული დავალება უნდა ჩაბარდეს სემესტრის მერვე კვირას. სემესტრის დასაწყისში სტუდენტები დაიყოფიან 3 ჯგუფად. შექმნილ 3 ჯგუფს მოუწევთ სადისკუსიო თემის მომზადება. ჯგუფები შემდეგ სადისკუსიო თემებს მოამზადებენ:

(ა) სწავლების მეთოდები დაწყებით საფეხურის ბილინგვურ კლასებში

(ბ) თვალსაჩინოების მასალის გამოყენება ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლებისას

(გ) საგნობრივი და ენობრივი მიზნების ინტეგრირება და შეხამება ბილინგვურ გაკვეთილზე

თითოეულ წარმოდგენილ საკითხზე თითო ჯგუფმა უნდა მოამზადოს 10 გვერდიანი გამოსვლა და ეს გამოსვლა გააცნოს სხვა სტუდენტებს. გამოსვლის მომზადებისას ჯგუფმა უნდა გამოიყენოს საკითხავი ლიტერატურა და დამატებით სულ მცირე 5 სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურა. გამოსვლის დამთავრების შემდეგ პრეზენტაციის გამმართველ ჯგუფს ევალება ამ საკითხზე კლასში წარმართოს დისკუსია. დისკუსიის ფორმატს და მიმდინარეობას განსაზღვრავს თვითონ ჯგუფი. მთავარი მოთხოვნაა რომ დისკუსია იყოს თემატური, კონტროლირებადი, არ გასცდეს განსახლიველ საკითხს და მონაწილეობდეს ყველა სტუდენტი.

დისკუსია წარმართება 30 წუთის განმავლობაში.

ჯგუფებს ნამუშევრის, აგრეთვე პრეზენტაციის გარდა, ევალებათ ჯგუფში თითოეული მონაწილის როლის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა, რომლიც მიხედვითაც განისაზღვრება ჯგუფის თითოეული წევრის კონტრიბუცია ჯგუფურ ნაშრომში. ჯგუფის მუშაობის პროცესი ცნობილი უნდა იყოს ლექტორისთვის. ონლიან მუშაობის შემთხვევაში ჯგუფი ვალდებულია განხილვაში ჩართოს ლექტორი

ჯგუფური ნაშრომის შეფასება

- ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დავალება წარმოდგენილია სილაბუსით განსაზღვრულ დროს, ნამუშევარი დაფუძნებულია აკადემიურ და სამეცნიერო ლიტერატურას და დებატებს, ნაშრომის სტილი გამართულია, პრეზენტაცია ეფექტურად არის წარმოდგენილი, დისკუსია და დებატები კვალიფიციურია და ეფექტურად არის წარმართული. პროექტის მომზადებაში ჯგუფის ყველა მონაწილის ჩართულობა თვალნათელია- 20 ქულა

- ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დავალება წარმოდგენილია სილაბუსით განსაზღვრულ დროს, ნამუშევარი დაფუძნებულია აკადემიურ და სამეცნიერო ლიტერატურას და დებატებს, ნაშრომის სტილი მოითხოვს მეტ გამართვას,, პრეზენტაცია კარგად არის წარმოდგენილი, დისკუსია და დებატები კარგად არის წარმართული. პროექტის მომზადებაში ჯგუფის ყველა მონაწილე მეტ-ნაკლებადაა ჩართული- 15-19;

- ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დავალება წარმოდგენილია სილაბუსით განსაზღვრულ დროს, ნამუშევარი მეტ-ნაკლებად დაფუძნებულია აკადემიურ და სამეცნიერო ლიტერატურას და დებატებს, ნაშრომის სტილი გამართულია, პრეზენტაცია ხარვეზებითაა წარმოდგენილი, დისკუსია და დებატები დამაკმაყოფილებლად არის წარმართული. პროექტის მომზადებაში ჯგუფის ყველა მონაწილი არ იყო ჩართული- 5-14

- ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დავალება წარმოდგენილია სილაბუსით განსაზღვრულ დროს, ნამუშევარი არ ეფუძნება აკადემიურ და სამეცნიერო ლიტერატურას და დებატებს, ნაშრომის სტილი გაუმართავია, პრეზენტაცია გაუმართავია, დისკუსია და დებატები ქაოსურად არის წარმართული. პროექტის მომზადებაში ჯგუფის ყველა წევრი არ მონაწილეობდა- 1-4

- დავალება არ შესრულებულა- 0 ქულა

შერჩეული სტატია ან ინფორმაცია / სტატიის განხილვა -10 ქულა

აღნიშნული დავალება უნდა შესრულდეს სემესტრის მეოთხე კვირიდან მეთორმეტე კვირის ჩათვლით პერიოდში. ამ პერიოდში სტუდენტს ევალებათ მოიძიონ მათი აზრით საინტერესო სტატია, ინფორმაცია ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების სფეროდან, თანაკურსელებს და

ლექტორს გაუგზავნონ წინასწარ მოძიებული სტატია თუ სხვა ტიპის დოკუმენტი და შემდგომ ლექციაზე მოახდინონ ამ სტატიის განხილვა სტუდენტებთან ერთად. სტუდენტს ევალება ფასილიტაცია გაუწიოს განხილვის პროცესს. განხილვისთვის სტუდენტისთვის განკუთვნილი იქნება 15–20 წუთი.

- წარმოდგენილი სტატია სრულად პასუხობს კურსის საკითხებს, , დავალება წარმოდგენილია სილაბუსით განსაზღვრულ დროს, სტუდენტი სტატიიდან ან ინფორმაციიდან სწორად გამოყოფს განსახილველ საკითხებს, კლასში დისკუსია მიმდინარეობს გამართულად, პრეზენტაცია და ჯგუფის მართვა არის ეფექტური- 10 ქულა

- წარმოდგენილი სტატია სრულად პასუხობს კურსის საკითხებს, , დავალება წარმოდგენილია სილაბუსით განსაზღვრულ დროს, სტუდენტი სტატიიდან ან ინფორმაციიდან მეტ-ნაკლებად სწორად გამოყოფს განსახილველ საკითხებს, კლასში დისკუსია მიმდინარეობს ოდნავი ხარვეზებით, პრეზენტაცია და ჯგუფის მართვა საჭიროებს დახვეწას- 5-9 ქულა

- წარმოდგენილი სტატია სრულად ვერ პასუხობს კურსის საკითხებს, , დავალება წარმოდგენილია სილაბუსით განსაზღვრულ დროს, სტუდენტი სტატიიდან ან ინფორმაციიდან სწორად ვერ გამოყოფს განსახილველ საკითხებს, კლასში დისკუსია მიმდინარეობს ხარვეზებით, პრეზენტაცია და ჯგუფის მართვა არაეფექტური და ქაოსურია- 1-4 ქულა

- სტატია არ არის წარმოდგენილი- 0 ქულა

საბოლოო ნაშრომი/პრეზენტაცია - 40 ქულა

აღნიშნული დავალება უნდა შესრულდეს სემესტრის დამთავრებისას. სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ მათთვის საინტერესო საკითხი ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების სფეროდან და მოამზადონ ნაშრომი აღნიშნულ თემაზე. ლექტორი დაეხმარება სტუდენტებს ინტერესებიდან გამომდინარე თემატიკის შერჩევაში, ლიტერატურის მოძიებაში, ნაშრომის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში.

საბოლოო ნაშრომის შეფასება

ნაშრომი წარმოდგენილია სილაბუსით განსაზღვრულ ვადაში. ნაშრომში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული შესასწავლი საკითხი, განხილული ლიტერატურა, მოძიებული სხვადასხვა მეთოდით მონაცემების, ეფექტურადაა მონაცემთა მოძიების პროცესი აღწერილი, წარმოდგენილია მონაცემთა ანალიზი. ნაშრომი სრულყოფილად პასუხობს დავალებას. სტუდენტის ნაწერი ლაკონური, აკადემიური და გამართულია. პრეზენტაცია წარმოდგენილია POWER POINT–ში, სტუდენტი პრეზენტაციას ახდენს ეფექტურად, ახერხებს სტუდენტთა ყურადღების მობილიზაციას, შემოქმედებითად უდგება პრეზენტაციის მომზადების და წარმოდგენის პროცესს, პრეზენტაციისას მსმენელებთან ამყარებს ეფექტურ ვერბალურ და არავერბალურ კავშირ– 35–40 ქულა;

ნაშრომი წარმოდგენილია სილაბუსით განსაზღვრულ ვადაში. ნაშრომი

საჭიროებს გაუმჯობესებას, სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი შესასწავლი საკითხი, არ არის სრულყოფილად ჩატარებული მონაცემთა შეგროვების და დამუშავების პროცესი, მონაცემთა ანალიზი ხარვეზებითაა წარმოდგენილი. პრეზენტაცია წარმოდგენილია POWER POINT-ში. პრეზენტაცია საჭიროებდა მეტ შემოქმედებითობას სტუდენტის მხრიდან, პრეზენტაციისას სტუდენტს აქვს მსმენელთა მართვისა და მათთან ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის პრობლემები- 21-34 ქულა;

ნაშრომი ფორმალურადაა წარმოდგენილი, ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს, საკითხი არ არის შესწავლილი, ნაშრომი წარმოადგენს სხვა ლიტერატურის გადმოწერას და სტუდენტის წვლილი მინიმალურია. პრეზენტაცია არ არის წარმოდგენილი მოთხოვნილ ფორმატში, პრეზენტაცია არ არის ეფექტური და ვერ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინტერესს- 1-20 ქულა;

კურსის შეფასება

	ქულები	საბოლოო შეფასების %	ნიშანი
დასწრება და მონაწილეობა	15	15 %	100 - 91 = A 81 - 90 = B 71 - 80 = C 61 - 70 = D
აკადემიური ჩანაწერების პორფოლიო	15	15 %	51 - 60 = E 41 - 50 = FX
შერჩეული სტატია	10	10 %	<40 = F
ჯგუფური პროექტი	20	20%	
საბოლოო ნაშრომი/პრეზენტაცია	40	40 %	
სულ	100	100 %	

სავალდებულო ლიტერატურა

სავალდებულო:

1. პეტერ მეკისტო, დევიდ მარში, მარია ხესუს ფრიგოლსი, რა არის

	<p>CLIL? – თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2015.</p> <ol style="list-style-type: none"> 2. გიორგი ნოზაძე, მაია ინასარიძე, ნინო შარაშენიძე, კახა გაბუნია, ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე; „საიმედო“, თბილისი, 2010. 3. ბილინგვური განათლება - სამაგიდო წიგნი მასწავლებლებისთვის - ლატვიის ლატვიური ენის სააგენტოს გამოცემა, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ქართული გამოცემა, 2009; 4. ბილინგვიზმი და ბილინგვური განათლების საფუძვლები (2006), კოლინ ბეიკერის ავტორობით, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ქართული თარგმანი; 2010. 5. შ. ტაბატაძე, მ. ინასარიძე, ე. ჩაჩხიანი, ჭ. ქირია – ინტერკულტურული განათლების პრაქტიკული სახელმძღვანელო (2010); 6. CLIL-ის მასწავლებლების კომპეტენციათა ბადე (თბილისი, სიეუცის თარგმანი, 2011) 7. კ. გაბუნია, მ. ინასარიძე, მ. წერეთელი, ენის შეფასება და ტესტირება; „საიმედო“, თბილისი, 2011. 8. ბილინგვალის მასწავლებლის სტანდარტი; განათლებისა და მეცნ. სამინისტრო; ib.mes.gov.ge. <p>ლიტერატურა ელექტრონული სახით მიეწოდებათ სტუდენტებს ლექტორის მიერ კურსის დაწყებისას</p>
<p>დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა</p>	<p>რეკომენდებული:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დო კოილი, ფილიპ ჰუდი, დევიდ მარში, ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება; თბილისი, „საიმედო“, 2015. 2. მაია ინასარიძე, ნინო შარაშენიძე, გიორგი გახელაძე, ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება დაწყებით სკოლაში; „საიმედო“, თბილისი, 2010. 3. ბილინგვური განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009–2014, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2009); 4. ბილინგვური განათლების დებულება, 20 აგვისტო, 2010, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება; 5. ჟურნალი „ბილინგვური განათლება“ #1, 2010-გვ. 1-48; 6. ჟურნალი „ბილინგვური განათლება“ #2, 2010-გვ. 1-48; 7. ჟურნალი „ბილინგვური განათლება“ #3, 2010-გვ. 1-48; 8. ჟურნალი „ბილინგვური განათლება“ #4, 2010-გვ. 1-48; 9. ჟურნალი „ბილინგვური განათლება“ #5, 2011-გვ. 1-48; 10. ჟურნალი „ბილინგვური განათლება“ #6, 2011-გვ. 1-48; 11. ჟურნალი „ბილინგვური განათლება“ #7, 2011-გვ. 1-48; 12. ჟურნალი „ბილინგვური განათლება“ #8, 2011-გვ. 1-48; 13. ჟურნალი „ბილინგვური განათლება“ #9, 2012-გვ. 1-48; 14. ჟურნალი „ბილინგვური განათლება“ #10, 2011-გვ. 1-48;

	<p>15. საერთაშორისო ჟურნალი მულტილინგვური განათლებისათვის, #1, 2013 (ონლაინჟურნალი);</p> <p>16. საერთაშორისო ჟურნალი მულტილინგვური განათლებისათვის, #2, 2013 (ონლაინჟურნალი);</p> <p>17. საერთაშორისო ჟურნალი მულტილინგვური განათლებისათვის, #3, 2014 (ონლაინჟურნალი);</p> <p>18. საერთაშორისო ჟურნალი მულტილინგვური განათლებისათვის, #4, 2014 (ონლაინჟურნალი);</p> <p>19. პადრაიგ ო' რიაგენი, ჯორჯ ლიუდი: ბილინგვური განათლება – ძირითადი სტრატეგიული ამოცანები, <i>სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ევროსაბჭოს მასალების თარგმანების გამოცემა.</i> (2008).</p> <p>ლიტერატურა ელექტრონული სახით მიეწოდებათ სტუდენტებს ლექტორის მიერ კურსის დაწყებისას</p>
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებს:</p> <p>ა) ცოდნა და გაცნობიერება</p> <ul style="list-style-type: none"> - ეცოდინებათ ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების ძირითადი თეორიული და პრაქტიკული ასპექტები; - შეძლებენ თეორიული საკითხების ცოდნის დემონსტრირებას; - შეძლებენ მრავალფეროვანი რეალობის (კულტურული, ლინგვისტური, ასაკობრივი, ეთნიკური,) გათვალისწინებით მრავალმხრივი ხედვის განვითარებას; - ეცოდინებათ ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების უმთავრესი პრინციპები; - ეცოდინებათ ბილინგვურ კლასში როგორც საგნობრივი, ასევე ენობრივი კომპონენტის (მეორე ენის) სწავლების სტრატეგიები. <p>ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> - მეთოდურად გამართულად შეძლებენ ბილინგვურ კლასში ენისა და საგნობრივი კომპონენტის ინტეგრირებულ სწავლებას; - შეძლებენ მრავალფეროვნების და განსხვავებულობის პოზიტიურად აღქმას და რეაგირებას; - მრავალფეროვან კონტექსტში საგანმანათლებლო პრობლემების და საკითხების გადაწყვეტას; - შეძლებენ სხვადასხვა საკითხის სხვადასხვა პესპექტივით განხილვას და მიდგომების ტრანსფორმირებასა და ადაპტირებას; - შეძლებენ სპეციალურ საგანმანათლებლო კონტექსტში ადაპტირებას; - შეძლებენ ბილინგვურ კლასში თანამედროვე და შესაბამისი სასწავლო სტრატეგიების გამოყენებას; - შეძლებენ ბილინგვურ კლასში როგორც საგნობრივი, ასევე ენობრივი კომპონენტის (მეორე ენის) ადეკვატური შეფასების სისტემის გამოყენებას. <p>გ) დასკვნის უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> - განუვითარდებათ მონაცემების შეგროვების, დამუშავების და ანალიზის უნარი.

	<p>დ) კომუნიკაციის უნარი -განუვითარდებათ დისკუსიაში და დებატებში მონაწილეობის უნარი, აგრეთვე დისკუსიის წარმართვის უნარი; -განუვითარდებათ, პრეზენტაციის მომზადებისა და წარმოდგენის უნარები; -განუვითარდებათ გუნდური მუშაობის უნარი.</p> <p>ე) სწავლის უნარი - განუვითარდებათ მცირე კვლევების დამოუკიდებლად ჩატარების უნარი; - განუვითარდებათ საკუთარი სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი; - განუვითარდებათ ჯგუფური პროექტების შესრულების უნარი.</p> <p>ვ) ღირებულებები - შეძლებენ საკუთარი ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარების დონის განსაზღვრას; - შეძლებენ ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარების შეფასებას მოსწავლეებში; - განუვითარდებათ მრავალფეროვნების, ბილინგვიზმისა და მულტიკულტურალიზმისადმი პოზიტიური დამოკიდებულებები.</p>
<p>სწავლების და სწავლის მეთოდები</p>	<p>ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი. პრაქტიკული მეთოდები; ჯგუფური (collaborative) მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); გონებრივი იერიში (Brain storming) ; გალერეა</p>

დანართი 1

	ლექციის/სემინარის/პრაქტიკუმის/ლაბორატორიული სამუშაოს და ა. შ. თემა	ლიტერატურა (შესაბამისი გვერდების მითითებით)
1	გაცნობა, კურსის აღწერა, ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების არსი	<p>პეტერ მეჰისტო, დევიდ მარში, მარია ხესუს ფრიგოლსი, რა არის CLIL? – თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2015; გვ. 7-30.</p> <p>პეტერ მეჰისტო, დევიდ მარში, მარია ხესუს ფრიგოლსი, რა არის CLIL? – თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2015. გვ. 7-30.</p> <p>ბილინგვური განათლება - სამაგიდო წიგნი მასწავლებლებისთვის - ლატვიის ლატვიური ენის სააგენტოს გამოცემა, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ქართული გამოცემა, 2009, გვ. 19-20; 79-82.</p> <p>ბილინგვიზმი და ბილინგვური განათლების საფუძვლები (2006), კოლინ ბეიკერის ავტორობით, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ქართული თარგმანი; 2010; თავი 11.</p>
2	ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული სტანდარტი; (CLIL)-ის საგნობრივი კომპეტენციების ზოგადი მიმოხილვა: რა უნარებს უნდა ფლობდეს ბილინგვალი მასწავლებელი?	<p>CLIL-ის მასწავლებლების კომპეტენციათა ბადე (თბილისი, სიეუც-ის თარგმანი, 2011);</p> <p>ბილინგვალი მასწავლებლის სტანდარტი; განათლებისა და მეცნ. სამინისტრო; იხ. mes.gov.ge.</p>
3	ბილინგვიზმის დეფინიციები და განხვავებული ინტერპრეტაციები, ბილინგვიზმის გაზომვა	<p>ბრიგიტა შილინა, როგორ გვესმის ბილინგვიზმი: მითები და სინამდვილე, კრებულიდან: „ბილინგვური განათლება; სამაგიდო წიგნი მასწავლებლებისათვის“ - სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ქართულენოვანი გამოცემა (2009); გვ 7-24;</p> <p>კოლინ ბეიკერი, ბილინგვიზმი და ბილინგვური განათლების საფუძვლები (2006), სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ქართული თარგმანი; 2010, თავი 1-2.</p>

4.	ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება, როგორც ბილინგვური განათლების ნაწილი; CLIL-ის ხედვის ჩამოყალიბება	<p>კოლინ ბეიკერი, ბილინგვიზმი და ბილინგვური განათლების საფუძვლები (2006), სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ქართული თარგმანი; 2010, თავი 11.</p> <p>პეტერ მეჰისტო, დევიდ მარში, მარია ხესუს ფრიგოლსი, რა არის CLIL? – თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2015; გვ. 9-30.</p> <p>ილვა იევინა, საგნობრივი შინაარსისა და სწავლების ენის ათვისების ინტეგრირება გაკვეთილზე - კრებულიდან: „ბილინგვური განათლება; სამაგიდო წიგნი მასწავლებლებისათვის“ - სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ქართულენოვანი გამოცემა (2009); გვ 79-82.</p>
5.	ინტეგრირებული გაკვეთილის მომზადება	<p>ილვა იევინა, საგნობრივი შინაარსისა და სწავლების ენის ათვისების ინტეგრირება გაკვეთილზე - კრებულიდან: „ბილინგვური განათლება; სამაგიდო წიგნი მასწავლებლებისათვის“ - სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ქართულენოვანი გამოცემა (2009); გვ 83-97.</p>
6.	საგნობრივ გაკვეთილებზე ენის სწავლის ხელშეწყობა; ენის გაკვეთილებზე საგნობრივი შინაარსის სწავლის ხელშეწყობა	<p>პეტერ მეჰისტო, დევიდ მარში, მარია ხესუს ფრიგოლსი, რა არის CLIL? – თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2015; გვ. 113-152.</p> <p>დ. კოილი, ფ. ჰუდი, დ. მარში, ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება; თბილისი, „საიმედო“, 2015. გვ. 86-109.</p>
7.	ხარაჩოების აგება; ადრე ნასწავლზე დაყრდნობა; შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობა;	<p>პეტერ მეჰისტო, დევიდ მარში, მარია ხესუს ფრიგოლსი, რა არის CLIL? – თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2015; გვ. 152-191.</p> <p>დ. კოილი, ფ. ჰუდი, დ. მარში, ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება; თბილისი, „საიმედო“, 2015. გვ. 27-45.</p>
8.	თვალსაჩინოების მასალისა და გრაფიკული ორგანიზატორების როლი ენისა და საგნის ინტეგრირებულ გაკვეთილზე	<p>მაია ინასარიძე, ნინო შარაშენიძე, გიორგი გახელაძე, ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება დაწყებით სკოლაში; „საიმედო“, თბილისი, 2010, გვ. 26-33.</p> <p>ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება</p>

		ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე, „საიმედო“, თბილისი, 2010 (გეოგრაფიის, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მიმართულება; გვ. 48-55.
9.	ტერმინების, სპეციფიკური ლექსიკის, სპეციფიკური კონსტრუქციების, ფუნქციონალური ფრაზების როლი და გამოყენება ენისა და საგნის ინტეგრირებულ გაკვეთილზე.	„ბილინგვური განათლება; სამაგიდო წიგნი მასწავლებლებისათვის“ - სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის ქართულენოვანი გამოცემა (2009); გვ 40-64.
10.	საკლასო ოთახის გარემო	პეტერ მეჰისტო, დევიდ მარში, მარია ხესუს ფრიგოლსი, რა არის CLIL? – თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2015; გვ. 191-238.
11.	თემატური დაგეგმვა; პრაქტიკული მუშაობა გაკვეთილების თემატურ დაგეგმვაზე (ჯგუფური დავალების ჩაბარების ბოლო ვადა)	ეროვნული სასწავლო გეგმა; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; 2011–2014 (http://mes.gov.ge/content.php?id=3923&lang=geo) პეტერ მეჰისტო, დევიდ მარში, მარია ხესუს ფრიგოლსი, რა არის CLIL? – თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2015; გვ. 145-152. ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე, „საიმედო“, თბილისი, 2010 (ყველა საგნობრივი მიმართულება; მესამე ნაწილი).
12.	გაკვეთილების დაგეგმვის ძირითადი პრინციპები ენისა და საგნის ინტეგრირებულ გაკვეთილზე	ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე, „საიმედო“, თბილისი, 2010 (მათემატიკის, ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის მიმართულებები; მესამე ნაწილი)
13	ენობრივი და საგნობრივი კომპონენტების შეფასება ინტეგრირებულ გაკვეთილზე შერჩეული სტატიის ჩაბარების ბოლო ვადა	ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე, „საიმედო“, თბილისი, 2010 (გეოგრაფიის, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მიმართულება; მეორე ნაწილი); კ. გაბუნია, მ. ინასარიძე, მ. წერეთელი, შეფასება, ენა და ტესტირება (2011, სამოქალაქო

		<p>ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის გამოცემა; გვ. 169-216.</p> <p>ბილინგვიზმი და ბილინგვური განათლების საფუძვლები (2006), კოლინ ბეიკერის ავტორობით, თავი 15.</p>
14	<p>პრაქტიკული მუშაობა ენისა და საგნის ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვაზე (გეოგრაფია, ისტორია, სამოქალაქო განათლება)</p>	<p>ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე, „საიმედო“, თბილისი, 2010 (მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის მიმართულება; მეოთხე ნაწილი);</p> <p>პეტერ მეჰისტო, დევიდ მარში, მარია ხესუს ფრიგოლსი, რა არის CLIL? – თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2015; გვ. 38-113.</p> <p>ეროვნული სასწავლო გეგმა; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; 2011–2014 (http://mes.gov.ge/content.php?id=3923&lang=geo)</p>
15	<p>პრაქტიკული მუშაობა ენისა და საგნის ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვაზე (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია)</p>	<p>ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე, „საიმედო“, თბილისი, 2010 (მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის მიმართულება; მეოთხე ნაწილი);</p> <p>პეტერ მეჰისტო, დევიდ მარში, მარია ხესუს ფრიგოლსი, რა არის CLIL? – თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2015; გვ. 38-113</p> <p>ეროვნული სასწავლო გეგმა; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; 2011–2014 (http://mes.gov.ge/content.php?id=3923&lang=geo)</p>
	<p>სტუდენტების ნაშრომების პრეზენტაცია / ანალიზი, დისკუსია</p>	
	<p>აკადემიური ჩანაწერები სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ ყოველ ლექციაზე</p>	